ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების გავლენა საქართველოს ექსპორტზე

თბილისი-2016

ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ანგარიში (1)

პროექტის მონაწილეები:

ასოც. პროფ. ნინო პაპაჩაშვილი (სამეცნიერო ხელმძღვანელი),

ასისტენტ-პროფ. ლელა ჯამაგიძე,

დოქტ. მარი თავართქილაძე, დოქტ. თამთა მიქაბერიძე,

დოქტ. ირაკლი დანელია

კვლევის მიზანი

- არასტარიფო ბარიერები და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში;
- არასატარიფო ბარიერების გავლენა საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობაზე

კვლევის ანგარიშის ძირითადი საკითხები

- გამოყენებული კვლევის მეთოდები
- ინსტიტუციური ჰარმონიზაციის საკითხების კვლევა საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობაში - როგორც არასატარიფო ბარიერების კვლევის წინაპირობა;
- ექსპორტიორთა გამოკითხვის შედეგები
- (არასატარფო ბარიერების UNCTAD-ის კლასიფიკაციის ბაზაზე მოცემული კვლევისთვის შედგენილი კითხვარის მიხედვით)
- დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის მეთოდები

- სამაგიდე კვლევა: არასატარიფო ბარიერების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების და კვლევითი ინსტიტუტების სტატისტიკური ბაზების ანალიზი და სინთეზი; შესაბამისი თემატიკის სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი, სინთეზი; საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის ინსტიტუციური მოწესრიგების მიმართულებით გამოქვეყნებული ანგარიშების ანალიზი.
- საველე კვლევა: ევროკავშირში ექპორტიორი ქართული ფირმების გამოკითხვა შემუშავებული კითხვარის მიხედვით-131 ექსპორტიორი;
- ფოკუს-ჯგუფი (1);
- ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპორტიორებთან (15).

რესპონდენტთა განაწილება გამოკითხვის ფორმების მიხედვით



ძირითადი საკითხები

- არასატარიფო ზომები (ბარიერები) საერთაშორისო ვაჭრობაში 2008 წლის შემდეგ;
- საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობა;
- საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის ინსტიტუციური წესრიგის ჩარჩო და გატარებული რეფორმები
- არასატარიფო შეზღუდვები ევროკავშირში საქართველოს ექსპორტზე
- ექსპორტიორთა კვლევის შედეგები

არასატარიფო ბარიერების არსი (1)

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

- გეოგრაფიული აკრძალვები, დაშვების გეოგრაფიული შეზღუდვები, ავტორიზაციის სპეციალური მოთხოვნები, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებთან დაკავშირებული იმპორტიორთა სარეგისტრაციო მოთხოვნები, სხვა აკრძალვები და შეზღუდვები.

ნივთიერებების გამოყენების და ნარჩენების შეზღუდვების დასაშვები ზღვრებისადმი წაყენებული მოთხოვნები?

სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებთან დაკავშირებული ეტიკეტირების, მარკირების, შეფუთვის მოთხოვნები

არასატარიფო ბარიერები არსი (2)

ჰიგიენურ მოთხოვნები

- საბოლოო პროდუქტის მიკრობიოლოგიური კრიტერიუმები, ჰიგიენური მოთხოვნები წარმოების პროცესის მიმართ, სხვა ჰიგიენური მოთხოვნები

საბოლოო პროდუქტში მცენარეთა და ცხოველთა პარაზიტებსა და დაავადების გამომწვევი ორგანიზმების აღმოფხვის რეჟიმის მოთხოვნები

მაგალითად, მოსავლის აღების შემდგომი დამუშავება

არასატარიფო ბარიერების არსი (3)

საწარმოო პროცესში საწარმოო და წარმოების შემდგომი პროცესების მიმართ წაყენებული მოთხოვნები

- მცენარეთა მოყვანის პროცესები, ცხოველთა მოშენების ან დაჭერის პროცესის მოთხოვნები, სურსათისა და საკვების დამუშავების მოთხოვნები, შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები, საწარმოო და წარმოების შემდგომი პროცესების მიმართ მოთხოვნები რომლებიც აქ არაა მოცემული

სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებთან დაკავშირებული შესაბამისობის შეფასების მოთხოვნები

- პროდუქტის რეგისტრაციის მოთხოვნები, ტესტირების მოთხოვნები, სერტიფიკაციის მოთხოვნები, ინსპექტირების მოთხოვნები, ინფორმაციის გამჟღავნების (მასალების წარმომავლობის, დამუშავების სტადიების, დისტრიბუციის არხების გავლის შესახებ) მოთხოვნები, საკარანტინო მოთხოვნები, სხვა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები)

არასატარიფო ბარიერების არსი (4)

ტექნიკური სტანდარტებით განსაზღვრული ზომები

- ტექნიკურ სტანდარტებთან დაკავშირებული აკრძალვები, ავტორიზაციის მოხოვნები, რეგისტრაციის მოთხოვნები, სხვა აკრძალვები/შეზღუდვები

ნარჩენების დასაშვები საზღვრებისა და ნივთიერებათა გამოყენების მოთხოვნები

- ნარჩენებისა და გარკვეული ნივთიერებებით დაბინძურების დასაშვები საზღვრების შეზღუდვები, გარკვეული ნივთიერებების შეზღუდული გამოყენების მოთხოვნები

არასატარიფო ბარიერების არსი (5)

- **ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებული ეტიკეტირების, მარკირებისა და შეფუთვის მოთხოვნები;**

- **საწარმოო პროცესში ევროკავშირის მხრიდან საწარმოო და წარმოებისშემდგომი პროცესების მიმართ წაყენებული მოთხოვნები** (საწარმოო პროცესში, შენახვის პროცესში, ტრანსპორტირების პროცესში, სხვა პროცესში);

არასატარიფო ბარიერების არსი (6)

- **ტექნიკური სტანდარტების მოთხოვნების სახეობები:**
- ავტორიზაციის მოთხოვნები
- რეგისტრაციის მოთხოვნები
- შეფუთვა და მარკირება
- პროდუქტის იდენტიფიცირების მოთხოვნები
- პროდუქტის ხარისხის ან წარმადობის მოთხოვნები
- ტექნიკურ სტანდარტებთან დაკავშირებული შესაბამისობის შეფასება (პროდუქტის რეგისტრაციის, ტესტირების, სერტიფიცირების, ინსპექტირების, ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები)

არასატარიფო ბარიერების არსი (6)

- **საბაჟო ფორმალობები:**
- გადაზიდვისწინა ინსპექტირება, პირდაპირი კონსიგნაციის მოთხოვნები, სპეციფიკურ საბაჟო პორტებში გავლის მოთხოვნები, იმპორტის მონიტორინგი და ზედამხედველობის მოთხოვნები, ავტომატური ლიცენზირების სხვა მექანიზმები და სხვა ფორმალობები

საპასუხო ღონისძიებები

- ანტიდემპინგური ზომები (ანტიდემპინგური მოკვლევა, ანტიდემპინგური ბაჟები და ფასის გაზრდის მოთხოვნები);
- საკომპენსაციო ბაჟები (საკომპენსაციო მოკვლევა, საკომპენსაციო ბაჟები, მოთხოვნები სხვა ღონისძიებების გასატარებლად);
- დაცვითი ზომები (დაცვითი მოკვლევა, დაცვითი ბაჟები, დაცვითი რაოდენობრივი შეზღუდვები, სხვა სახის დაცვითი ზომები);
- სპეციალური სასოფლო-სამეურნეო დაცვითი ზომები (მოცულობაზე დაფუძნებული, ფასზე დაფუძნებული)
-

არასატარიფო ბარიერების არსი (8)

- **კვოტები (მუდმივი, სეზონური, დროებითი):**
- **ლიცენზიები, რაოდენობრივი კონტროლის ზომები და სხვა აკრძალვები** (გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი; ლიცენზიის შეჩერება; ნახმარი, შეკეთებული პროდუქტების აკრძალვა და სხვა);
- **ფასების კონტროლი, დამატებითი გადასახადები და გადასახდელები** (ბაზარზე შესვლის ფასი, მინიმალური ფასის მოთხოვნა, ცვალებადი ბაჟები, დამატებითი საბაჟო გადასახდელები ინსპექტირების, დამუშავების, მომსახურების გაწევის, შენახვის, საქმისწარმოების ხარჯები და ა.შ.);

არასატარიფო ბარიერების არსი (9)

- **ფინანსური ზომები** (წინასწარი გადახდის მოთხოვნები, მრავალი სავალუტო კურსი, სხვა სავალუტო შეზღუდვები, იმპორტის ანაზღაურების პირობებთან დაკავშირებული რეგულაციები, სხვა ფინანსური ზომები);
- **კონკურენციასთან დაკავშირებული ღონისძიებები** (სახელმწიფო საწარმოებისთვის უპირატესობა მინიჭება; იმპორტის შერჩევითი არხები, სამამულო მომსახურების სავალდებულო გამოყენება (დაზღვევა, ტრანსპორტირება, სხვა მომსახურება, კონკურენციაზე მოქმედი სხვა ფაქტორები);
- **ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომები** (ადგილობრივი ჩართულობის მოთხოვნები, ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა საინვესტიციო ზომები);

არასატარიფო ბარიერების არსი (10)

- **სადისტრიბუციო შეზღუდვები** (კონკრეტული გეოგრაფიული შეზღუდვები, გადამყიდველებთან დაკავშირებული მოთხოვნები / შეზღუდვები);
- **ევროკავშირის გაყიდვისშემდგომი მომსახურების შეზღუდვები;**
- **ევროკავშირის სუბსიდიები;**
- **ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების შეზღუდვები;**
- **ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების რეგულირებასთან დაკავშირებული ზომები.**

არასატარიფო ზომები (ბარიერები) საერთაშორისო ვაჭრობაში 2008 წლის შემდეგ

არასატარიფო ბარიერების რაოდენობა	სულ	მ.შ. ვაჭრობის დაცვის ზომები
სულ (GTA-ის ბაზის მიხედვით)	9756	7903
მ.შ. „მწვანე“	2205	2194
მ.შ. „ქარვისფერი“	1524	1036
მ.შ. „წითელი“	6027	4673

არასატარიფო ბარიერები (ინიცირებული და ძალაში შესული) 2016 წლის ივნისისთვის, ვმო-ის მიხედვით



ევროკავშირის მიერ დაწესებული არასატარიფო ზომები (ბარიერები) საერთაშორისო ვაჭრობაში 2008 წლის შემდეგ

არასატარიფო ბარიერების რაოდენობა	სულ	მ.შ. ვაჭრობის დაცვის ზომები
სულ (GTA-ის ბაზის მიხედვით)	1059	896
მ.შ. „მწვანე“	116	115
მ.შ. „ქარვისფერი“	164	119
მ.შ. „წითელი“	779	662

საქართველოს მიმართ გამოყენებული არასატარიფო ბარიერები (გამოვლენილი GTA-ის მიერ)

არასატარიფო ბარიერების რაოდენობა	სულ	მ.შ. ვაჭრობის დაცვის ზომები
სულ (GTA-ის ბაზის მიხედვით)	397	391
მ.შ. „მწვანე“	112	111
მ.შ. „ქარვისფერი“	79	74
მ.შ. „წითელი“	206	206

ევროკავშირის ქვეყნები, რომელთა არასატარიფო ღონისძიებებიც ეხება საქართველოს (GTA-ის მიხედვით)

- ავსტრია - 4
- ბელგია - 5
- ბულგარეთი - 4
- ჩეხეთი - 6
- ესტონეთი - 4
- უნგრეთი - 4
- რუმინეთი - 5 და ა.შ.

ევროკავშირის ქვეყნების მიერ გატარებული ზოგიერთი არასატარიფო ღონისძიების ჩამონათვალი, რომელიც ეხება საქართველოს („წითელი“ და „ქარვისფერი“)

- სახელმწიფო დახმარების ღონისძიებები - 51
- ექსპორტის წახალისება - 36
- ადგილწარმოშობის მოთხოვნა - 14
- მიგრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები - 15
- ლოკალური სახელმწიფო შესყიდვები - 5
- ვაჭრობის დაფინანსება - 9
- საინვესტიციო ღონისძიებები - 6 და ა.შ.

ზოგიერთი იდენტიფიცირებული შემთხვევა (1)

- 2015 წლის 17 დეკემბერს ევროკომისიამ გამოაცხადა ანტიდემპინგური მოკვლევის ინიციატივა მანგანუმის ოქსიდის იმპორტზე (MnO – 50-დან 77%-მდე შემცველობის)
- EU: Initiation of antidumping investigation on imports of certain manganese oxides from Brazil, Georgia, India and Mexico

ზოგიერთი იდენტიფიცირებული შემთხვევა (2)

- 2014 წლის 18 აგვისტოს ეკ-ს სასოფლო და სასოფლო სამეურნეო დარგის კომისიონერმა (Dacian Ciolos) განაცხადა საკომპენსაციო სქემის შემოღების თაობაზე სხვადასხვა მალფუჭებადი საქონლის მიმართ საიმპორტო შეზღუდვების შემოღების თობაზე.
- EC: Compensation scheme for perishable fruits and vegetables

ზოგიერთი იდენტიფიცირებული შემთხვევა (3)

- 2014 წლის 26 თებერვალს ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ მიიღო დირექტივა (2014/36/EU), რომლითაც განახლდა მესამე ქვეყნებიდან შესვლის და დარჩენის პირობები სეზონური მუშაობის მიზნით („დაკავშირებული ზომები“).
- EC: New rules for non-EU seasonal workers

საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში, ათასი აშშ დოლ.



ევროკავშირი-საქართველოს ვაჭრობა, 2005-2015 წწ. მლნ. ევრო



მზარდი ვაჭრობა ევროკავშირთან



	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტი	158	269	335	238	310	424	353	607	624	646
იმპორტი	948	1,539	1,756	1,336	1,467	2,048	2,426	2,264	2,370	2,519
ბრუნვა	1,106	1,807	2,092	1,573	1,777	2,473	2,779	2,871	2,994	3,165

ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში 2016* წლის იანვარ-სექტემბერში



*წინასწარი მონაცემები

ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან იმპორტში 2016* წლის იანვარ-სექტემბერში



*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში 2016* წლის იანვარ-სექტემბერში



*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ხაიმპორტო საქონლის წილი მთლიან იმპორტში 2016* წლის იანვარ-სექტემბერში



*წინასწარი მონაცემები.

ევროკავშირში საქართველოს ექსპორტი საქმიანობის სახეობების მიხედვით, 2010-2015 წწ., %



ევროკავშირთნ ინსტიტუციური დაახლოების საკითხები:
აღმოსავლეთის პარტნიორობის ინდექსი:
LINKAGE & bti Status index

	2011	2012	2013	2014	2015
EaP Index: Linkage (Georgia)	**0,53**	**0,54**	**0,58**	**0,59**	**0,60**
BTI Status Index (Georgia)	**6,03**	**5,88**	**5,88**	**6,16**	**6,31**

ევროკავშირთნ ინსტიტუციური დაახლოების საკითხები: აღმოსავლეთის პარტნიორობის ინდექსი:
Approximation & bti Status index

	2011	2012	2013	2014	2015
EaP Index: Approximation (Georgia)	0,63	0,54	0,63	0,69	0,70
BTI Status Index (Georgia)	6,03	5,88	5,88	6,16	6,31

ევროკავშირთან ინსტიტუციური დაახლოების საკითხები: აღმოსავლეთის პარტნიორობის ინდექსი: management & bti Status index

	2011	2012	2013	2014	2015
EaP Index: Management (Georgia)	**0,92**	**0,58**	**0,58**	**0,74**	**0,75**
BTI Status Index (Georgia)	**6,03**	**5,88**	**5,88**	**6,16**	**6,31**

ევროკავშირი და სავაჭრო პოლიტიკის რეფორმა

- ზოგადად, საქართველოს სავაჭრო პოლიტიკაზე ევროპული ინტეგრაციის გავლენის მექანიზმები ევროკავშირის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ინსტრუმენტებშია ასახული. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA), ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP), ასოცირების შეთანხმება (AA) არა მარტო საქართველო–ევროკავშირის მიერ ურთიერთმიმართებით გამოყენებულ სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებს ადგენს, არამედ ვაჭრობასთან დაკავშირებულ ფართო ინსტიტუციურ რეფორმებს განსაზღვრავს.

რეფორმები და ინსტიტუტების იმპორტი

- სავაჭრო პოლიტიკის რეფორმა ხშირად ინსტიტუტების იმპორტის გზით ხორციელდება (როდრიკი, 2002);
- ინსტიტუტების იმპორტი საუკეთესო პრაქტიკის მქონე (ე.წ.სანიმუშო) ქვეყნებიდან ხდება (როლანდი, 2004).
- ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის თავისებურება ისაა, რომ ის არ შემოიფარგლება მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებით და შესაბამისი სავაჭრო რეჟიმების ამოქმედებით, არამედ გულისხმობს ინსტიტუციური ჰარმონიზაციის გზით ევროპის ბაზრის ნაწილად გადაქცევას.

არასატარიფო ზომები DCFTA–ს ჩარჩოში

- DCFTA შემადგენელი 14 თავიდან 9 სწორედ არასატარიფო ზომების მოწესრიგებას უკავშირდება (წარმოშობის წესები, საბაჟო საკითხები, დაცვითი ზომები, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ტექნიკური ბარიერები, კონკურენცია, ინტელექტუალური საკუთრება, სახელმწიფო შესყიდვები, ვაჭრობა და მდგრადი განვითარება).
- მართალია, ასოცირების შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების, მათ შორის DCFTA-ს ამოქმედება დაიწყო 2014 წლის 1 სექტემბრიდან, მაგრამ საგულისხმოა, რომ DCFTA იყო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებული მთავარი კომპონენტი და მის მომზადებს, გაფორმებას და ამოქმედებას სიღრმისეული რეფორმები უძღვოდა წინ;

განხორციელებული რეფორმები

- თავდაპირველად (2009) ევროკავშირის რეკომენდაციები მოიცავდა 11 სფეროს: სატარიფო და არასატარიფო ბარიერები, ტექნიკური ბარიერები, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ვაჭრობის ხელშეწყობა და საბაჟო ადმინისტრირება, წარმოშობის წესები, მომსახურება და ინვესტიციები, ინტელექტუალური საკუთრება, კონკურენცია, სახელმწიფო შესყიდვები, მდგრადი განვითარება;
- მაგრამ მოგვიანებით გამოიყო ოთხი პრიორიტეტული სფერო: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული წესები, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლებები და კონკურენციის პოლიტიკა. ყველა მათგანისათვის საქართველომ, ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, შეიმუშავა სამოქმედო სტრატეგიები და განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები.

ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები (1)

- DCFTA–ის გაფორმებას უძღვოდა წინ **სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის სტრატეგიის** შეიმუშავება;
- დაფუძნდა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (2010);
- დაიწყო მუშაობა ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე;
- ტექნიკური რეგულირების სფეროში 2011 წლიდან დღემდე ექვსი ახალი დირექტივის დანერგვა მოხდა (ლიფტების, საბაგიროების, წყლის გამაცხელებელი სისტემების და სხვა). ეს პროცესი კვლავ გრძელდება, რადგან განსაზღვრულია რვაწლიანი პერიოდი ევროკავშირის 21 სექტორული დირექტივის დანერგვისათვის.
-

ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები (2)

○მიღებულ იქნა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და საქონლის თავისუფალი მოძრაობის შესახებ“ კოდექსი (2012), რომელიც აღიარებს ევროკავშირისა და OECD ქვეყნების ტექნიკური რეგულაციების ეკვივალენტურობას და ამ ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებული საქონელი აღარ საჭიროებს ტესტირებას და სერტიფიკაციას;

○ 2014 წელს საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა 1000-ზე მეტი, ხოლო 2015 წელს 1721 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი, ხოლო საქართველოს სტანდარტების რეესტრიდან ამოღებულ იქნა 368 სტანდარტი, რომელთა ნაწილი ევროპული სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა.

ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები

შედეგად სრულად ხელმისაწვდომია:

- ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები;
- საერთაშორისოდ აღიარებული მეტროლოგიური მომსახურება
- ევროპული სერტიფიკაციის ორგანოების მომსახურება;

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

- “საკვების უსაფრთხოებისა და ხარისხის შესახებ” კანონის შეჩერებული მუხლების ამოქმედება, რომლებიც ეხებოდა პროდუქტის ინსპექტირებას და ექსპორტიორი კომპანიების მიკვლევადობას (2010);
- სურსათის უვნებლობის ყოვლისმომცველი სტრატეგიის და საკანონმდებლო დაახლოების პროგრამის მიღება (2010);
- ევროპის კონკრეტულ კანონმდებლობასთან დაახლოებისთვის მომზადდა კონკრეტული ჩამონათვალი 366 აქტი (2015);
- მიმდინარეობს მუშაობა აღიარებისა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) დანერგვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებისთვის;

საბაჟო პროცედურები

- საქართველოს 2007 წელს მიღებული საბაჟო კოდექსი შესაბამისობაში იყო ევროპული საბჭოს დეკრეტის No. 2913/92 და ევროკავშირის საბაჟო კოდექსის ამოქმედების დებულებებთან (დეკრეტი No. 2454/93);
- გაფორმების ეკონომიკური ზონების შექმნა (2010);
- იმპორტირებული საქონლის საბაჟო გაფორმებისას გამოყენებული რისკების ავტომატიზირებული სისტემის გაფართოება (2012);
- 2013 წელს განხორციელდა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პროექტები, ვაჭრობის გაიოლების სისტემის დანერგვა, საზღვრის მართვის ინტეგრირებული სისტემების დანერგვა და სხვა. (2013);
- 2015 წლის მანძილზე გრძელდებოდა შემოსავლების სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული საბაჟო გამშვები პუნქტების ინფრასტრუქტურის განვითარება, მათი შესაბამისი აღჭურვა და თანამშრომლების ტრეინინგი.

DCFTA ითვალისწინებს საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მარეგულირებელი წესები, ტრანზიტის რეგულირების სრულყოფას.

ინტელექტუალური საკუთრება

- გაფორმდა შეთანხმება სასოფლოსამეურნეო და სხვა სასურსათო პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ (2010);
- ევროკავშირმა ოფიციალურად გამოაქვეყნა ქართული პროდუქტების დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების ნუსხა (2010);
- ამ სფეროს ინსტიტუციური ცვლილებების უდიდესი ნაწილი 2013 წელს განხორციელდა;

კონკურენცია

- ევროკავშირის მოთხოვნების გათვალისწინებით 2010 წელს დამტკიცდა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“ და შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო დამოუკიდებელი უწყების სახით, მაგრამ არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ დანერგილი ინსტიტუტები რეალურ პრაქტიკაში არ ავლენდა შესაბამისობას ევროკავშირის სტანდარტებთან. ხელახალი საკანონმდებლო ცვლილებებით 2014 წელს ჩამოყალიბდა კონკურენციის სააგენტო და კანონმდებლობით შეიქმნა მისი დამოუკიდებლობის გარანტიები.

კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში,
http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/dcfta_eugbc/publication_on_competition_ka.pdf

გამოკითხული კომპანიები საექსპორტო პროდუქციის სახეობების მიხედვით



საწარმოს ზომა დაქირავებულთა რაოდენობის მიხედვით



	02.1. მსხვილი (250-დან ზემოთ)	02.2. საშუალო (50-დან 249-მდე)	02.3. მცირე (9-დან 49-მდე)	02.4. მიკრო (1-დან 9-მდე)
Series1	17	50	47	17

რესპონდენტთა შორის ჭარბობენ საშუალო და მცირე ზომის კომპანიები.

ექსპორტიორები კაპიტალის წარმოშობის მიხედვით



კვლევამ გამოავლინა, რომ უმეტესად ექსპორტიორი კომპანიების კაპიტალი ეროვნულია.

ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირების გამოცდილება



დადგინდა, რომ ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტიორ კომპანიებს 5 წელზე მეტი გამოცდილება აქვთ.

გამოკითხული ექსპორტიორების გამოშვების რა წილის (%) ექსპორტი ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნებში



გამოკითხულ ექსპორტიორთა უმეტესობას მათი გამოშვების 10 % ზე მეტი ევროკავშირის ბაზარზე გააქვს.

რამდენად შემზღუდველია ევროკავშირის ქვეყნების სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები (გეოგრაფიული აკრძალვები, დაშვების გეოგრაფიული შეზღუდვები, ავტორიზაციის სპეციალური მოთხოვნები, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებთან დაკავშირებული იმპორტიორთა სარეგისტრაციო მოთხოვნები, სხვა აკრძალვები და შეზღუდვები)



გამოკითხულთა 76 % მიიჩნევს, რომ ევროკავშირის სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები ან საერთოდ არ ზღუდავს ან ნაკლებად დამაბრკოლებელია.

რამდენად შემზღუდველია ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან ნივთიერებების გამოყენების და ნარჩენების შეზღუდვების დასაშვები ზღვრებისადმი წაყენებული მოთხოვნები



გამოკითხულთა 18% მიიჩნევს, რომ ნივთიერებების გამოყენების და ნარჩენების შეზღუდვების დასაშვები ზღვრებისადმი წაყენებული მოთხოვნები შემზღუდველია, თუმცა 75% მიიჩნევს, რომ აღნიშნული ზომები ან საერთოდ არ ზღუდავს ან ნაკლებად დამაბრკოლებელია.

რამდენად შემზღუდველია სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებთან დაკავშირებული ეტიკეტირების, მარკირების, შეფუთვის მოთხოვნები?



გამოკითხულთა 77 % მიიჩნევს რომ სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებთან დაკავშირებული ეტიკეტირების, მარკირების, შეფუთვის მოთხოვნები არ არის შემზღუდველი, ხოლო 23 % კი მიიჩნევს რომ აღნიშნული მოთხოვნები დამაბრკოლებელია.

რამდენად შემზღუდველია ჰიგიენური მოთხოვნები



გამოკითხულთა მხოლოდ 23 % მიიჩნევს, რომ ჰიგიენური მოთხონები შემზღუდველია.

რამდენად შემზღუდველია საბოლოო პროდუქტში მცენარეთა და ცხოველთა პარაზიტებსა და დაავადების გამომწვევი ორგანიზმების აღმოფხვის რეჟიმის მოთხოვნები



გამოკითხულთა მხოლოდ 21 % მიიჩნევს, რომ საბოლოო პროდუქტში მცენარეთა და ცხოველთა პარაზიტებს
და დაავადების გამომწვევი ორგანიზმების აღმოფხვის რეჟიმის მოთხოვნები შემზღუდველია.

უწევთ თუ არა ექსპორტიორებს შეიტანონ გარკვეული ცვლილებები საწარმოო პროცესში საწარმოო და წარმოების შემდგომი პროცესების მიმართ წაყენებული მოთხოვნების გამო



გამოკითხულთა 42 % უწევს საწარმოო პროცესში ცვლილებების შეტანა.

რამდენად შემზღუდველია სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებთან დაკავშირებული შესაბამისობის შეფასების მოთხოვნები?



გამოკითხულთა 26 % მიიჩნევს, რომ სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებთან დაკავშირებული შესაბამისობის შეფასების მოთხოვნები შემზღუდველია ექსპორტირებისას.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომებთნ დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებისას ყველაზე დიდ დანახარჯს წარმოადგენს



გამოკითხულთა მხოლოდ 32 % მიიჩნევს, რომ ამ მხრივ დაბრკოლება არ არსებობს.

რამდენად შემზღუდველია ტექნიკური სტანდარტებით განსაზღვრული ზომები (აკრძალვები, ავტორიზაციის მოხოვნები, რეგისტრაციის მოთხოვნები, სხვა აკრძალვები/შეზღუდვები)



გამოკითხულთა 15 % მიიჩნევს, რომ ტექნიკური სტანდარტებით განსაზღვრული ზომები დაბამრკოლებელია ექსპორტირების პროცესში.

რამდენად შემზღუდველია ნარჩენების დასაშვები საზღვრებისა და ნივთიერებათა გამოყენების მოთხოვნები?



გამოკითხულთა 20 % მიიჩნევს, რომ ნარჩენების დასაშვები საზღვრებისა და ნივთიერებათა გამოყენების მოთხოვნები დამაბრკოლებელია ექსპორტირების პროცესში.

უწევთ თუ არა ექსპორტიორებს შეიტანონ გარკვეული ცვლილებები საწარმოო პროცესში ევროკავშირის მხრიდან საწარმოო და წარმოებისშემდგომი პროცესების მიმართ წაყენებული მოთხოვნების გამო?



გამოკითხულთა 19 % უწევს საწარმოო პროცესში ცვლილებების შეტანა.

რა ტიპის ტექნიკური სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება უწევთ ექსპორტიორებს



ექსპორტიორთა უმრავლესობამ დაასახელა შეფუთვა, მარკირებასა და ხარიხთან დაკავშირებული სტანდარტების დაკმაყოფილების მოთხოვნები.

ევროკავშირში ექსპორტირებისას ტექნიკურ ზომებთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებისას დკავშირებული დანახარჯები



რამდენად დამაბრკოლებელია ექსპორტისთვის ევროკავშირის საბაჟო ფორმალობები



გამოკითხულთა მხოლოდ 8 % მიიჩნევს,რომ საბაჟო ფორმალობები დამაბრკოლებელია ექსპორტირების პროცესში.

დაექვემდებარა თუ არა ექსპორტი საპასუხო ღონისძიებებს ევროკავშირის მხრიდან?



ექსპორტიორთა 12 % დაექვემდებარა საპასუხო ზომებს ევროკავშირის მხრიდან.

რამდენად დამაბრკოლებელია ევროკავშირის მიერ დაწესებული ლიცენზიები, რაოდენობრივი კონტროლის ზომები და სხვა აკრძალვები



ევროკავშირში ექსპორტირებისას რამდენად შემზღუდველია ფასების კონტროლი, დამატებითი გადასახადები და გადასახდელები



რამდენად დამაბრკოლებელია ევროკავშირის ფინანსური ზომები



რამდენად დამაბრკოლებელია კონკურენციასთან დაკავშირებული ღონისძიებები ?



რამდენად დამაბრკოლებელია ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომები?



რამდენად დამაბრკოლებელია სადისტრიბუციო შეზღუდვები?



რამდენად დამაბრკოლებელია ევროკავშირის გაყიდვისშემდგომი მომსახურების შეზღუდვები?



რამდენად დამაბრკოლებელია ექსპორტისათვის ევროკავშირის სუბსიდიები?



რამდენად დამაბრკოლებელია ექსპორტისათვის ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების შეზღუდვები?



რამდენად დამაბრკოლებელია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების რეგულირებასთან დაკავშირებული ზომები



რა სახის სერტიფიკატი ჭირდებათ ევროკავშირში ექსპორტისთვის



რა არის მთავარი დაბრკოლება წარმოშობის სერტიფიკატის აღების დროს?



უჭირთ თუ არა ექსპორტიორებს ევროკავშირის არასატარიფო ზომებზე ინფორმაციის მოპოვება?



რომელ საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებენ ექსპორტიორები



რა მოლოდინი აქვთ ექსპორტიორებს DCFTA-დან (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებიდან)?



ჩართულნი არიან ექპსორტიორები DCFTA-ით გათვალისწინებული რეფორმების პროცესში?



სარგებლობენ თუ არა ექსპორტიორები ევროკავშირთან დაახლოების მიზნით შემუშავებული ექსპორტიორთა გზამკვლევებით და გატარებული ღონისძიებებით?



დასკვნები და რეკომენდაციები (პროექტი)

- არასატარიფო ზომები ვაჭრობას ზღუდავს, მაგრამ მათი გავლენა დამოკიდებულია ინსტიტუციური განვითარების დონეზე; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ღონისძიებები იწვევს ჰარმონიზაციის დონის ამაღლებას და ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ვაჭრობის ხელშეწყობის დამატებითი ინსტრუმენტია;

ინსტიტუციური დაახლოების სარგებელი:

- სრულფასოვანი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე არასატარიფო რეგულირების ინსტრუმენტების ჰარმონიზაციითაა შესაძლებელი, მაგრამ ტარიფებთან შედარებით, მათი ცვლილება ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს, რაც მიგვანიშნებს, რომ სავაჭრო პოლიტიკის რეფორმა ჯერ დაუსრულებელი პროცესია.
- ერთი მხრივ, მცირდება საქმიანი გარემოს ინსტიტუციური განსხვავებები, რამაც ეკონომიკური აგენტებისთვის ინფორმაციული ასიმეტრიები და ტრანზაქციური ხარჯები უნდა შეამციროს, ხოლო მეორე მხრივ, საექსპორტო საქონლის ხარისხსა და ცნობადობაზე მოახდინოს დადებითი გავლენა.

დასკვნები და რეკომენდაციები (პროექტი)

- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ხელს უწყობს ქართული ექსპორტის ზრდას ევროკავშირში ინსტიტუციური ჰარმონიზაციის გზით;

- ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობიდან მეტი სარგებლის მისაღებად საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტები გადატანილი უნდა იყოს „გარე საზღვრებიდან“ ხარისხის საშინაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, რაც ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან ჰარმონიზაციას დააჩქარებს;

დასკვნები და რეკომენდაციები (პროექტი)

- საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაცია გადაუდებელი ამოცანაა; საჭიროა სამთავრობო, საგანმანათლებლო, საფინანსო, სამეწარმეო სტრუქტურების ერთობლივი ქმედება საქართველოს ეკონომიკური განვითრების „ხაფანგიდან“ გამოსაყვანად;
- ევროკავშირთან ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობის მქონე კომპანიები ნაკლებლად დამაბრკოლებლად მიიჩნევენ ევროკავშირის არასატარიფო ზომებს.

გმადლობთ ყურადღებისთვის!